ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 346

"25" ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №1, შენობა-ნაგებობა №1-ში, II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ. ფართიდან 202.03 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.11.17.001.025) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს გენერალთა კლუბისთვის" (ს/ნ. 200270107) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11, მე-12 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას: „ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №1, შენობა-ნაგებობა №1-ში, II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ. ფართიდან 202.03 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.11.17.001.025) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს გენერალთა კლუბისთვის" (ს/ნ. 200270107) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ივლისის №25.1229.1382 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №1-ში, შენობა-ნაგებობა №1-ში, მე-II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ. ფართიდან 202.03 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.11.17.001.025) პირდაპირი განკარგვის წესით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს გენერალთა კლუბისთვის" (ს/ნ. 200270107) უსასყიდლო უზუფრუქტის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს გენერალთა კლუბის" (ს/ნ: 200270107) უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

2. შეთანხმებულად ჩაითვალოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებით წარმოდგენილი წინადადება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 11 ივლისის №ბ61.01231923 ბრძანების საფუძველზე გაფორმებული, უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებების ვადის გასვლის დღიდან, ამ განკარგულების საფუძველზე

უსასყიდლო უზუფრუქტის გაფორმებამდე პერიოდში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს გენერალთა კლუბის“ (ს/ნ. 200270107) მიერ ფართის ფაქტობრივად სარგებლობისთვის შესაბამისი სარგებლობის საფასურის გადახდის მოთხოვნაზე უარის თქმის საკითხი.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე